572
1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა

„ბაბუაჯანი, ტყეში ქალაქია,
ილანია, ილანი მანანა,
და შენც, ქალიშვილი, სწავლიანია
საბჭოთა ეკალანა!“

№ 12 საკავშირო ყველა ცენტრალური კომიტეტის ბავშვთა მეცხრეულობისთვის

დეკემბერი 1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ბესარიონის-ძე

სტალინი

მიხეილ მრევლიშვილი

ნახატები ქ. მახარაძისა

ბავშვობისა ყვავილი

ჩვენ მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდით.

ახლაც კარგად მახსოვს მწყობრად ჩარიგებული, მწვანეში ჩაფლული პატარა ერთსართულიანი სახლები, კოინდრიანი ეზოები, ჭიშკრიდან სახლის კარამდე კენჭმოყრილი გზით, ყავარგადმოხურული ჭიშკარი და ჯა ეზოს პირას, ცაში ამართული ვეება ხორთუმით.

ეზოში ჰყვაოდა იასამნის მაღალი ბუჩქები, ბროწეულის ხეები წითლად მოღაჟღაჟე წოწოლა ქუდის მაგვარი ყვავილებით, ტყემალი თეთრად გადაპენტილი თაიგულებით, მაგნოლია თავბრუდამხვევი სურნელებით და ყაზანლიყისა თუ ჩინური ვარდის ბუჩქები წითლად და ყვითლად გადაშლილი ვარდებით.

სახლის გადაღმა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ხისდარაბიანი სამიკიტნოები იყო ჩარიგებული. საღამო ხანს იქიდან განუწყვეტლივ მოისმოდა არღნის ხმა და მოქეიფეთა ღრიანცელი.

ხშირად მეეტლეებიც ჩაუქროლებდნენ ხოლმე ეზოს და დაოთხებული ცხენების ხმაური შეარხევდა სიჩუმეს.

ჩვენი სახლის პატრონიც ოდესღაც მეეტლე ყოფილა, მაგრამ შემდეგ, გაღარიბებულსა და გაკოტრებულს, ამ ხელობისათვის თავი დაუნებებია და შავ მუშად მუშაობდა რკინიგზის სადგურში.

მე ახლაც კარგად მახსოვს ისიდორე ბიძიას ჭაღარაშერეული გრძელი ულვაშები, ოდნავ შეყვითლებული თამბაქოს ბოლით, მისი მუდამ მომღიმარე სახე და მხრებში მოხრილი ახოვანი ტანი.

ხშირად ჭიშკართან მოუთმენლად ველოდი ისიდორე ბიძიას სახლში დაბრუნებას. მას მუდამ მხიარულება და სიცილი შემოჰქონდა ჩვენს მიყუჩებულ ეზოყურეში.

ათასგვარი ზღაპრებისა და უცნაური ამბების მოყოლა იცოდა ისიდორე ბიძიამ. განსაკუთრებით ძილის წინ მიყვარდა ამ უცნაური ამბების მოსმენა, როცა უფროსები აივანზე შეიყრებოდნენ სავახშმოდ, მე კი, ლოგინში თბილად მიყუჟული, სულგანაბული ვუსმენდი მათ.

ჩემი სწოლი სწორედ ფანჯარასთან იდგა. ღია ფანჯრიდან კარგად მოჩანდა ჭერზე ჩამოკიდებული ლამფით განათებული მობაასეთა სახეები, ჰეპლები, რომლებიც ამ შუქზე დაფარფატებდნენ, და ჩაის ჭურჭლით გაწყობილი პატარა მაგიდა.

6653

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მაშინ პატარა ვიყავი და, გულახდილად რომ გითხრათ, კარგად არც მესმოდა, რას უყვებოდა ისიდორე ბიძია მაგიდასთან შემომსხდარ უფროსებს. ის ამბობდა, რომ მუშებს ჩაგრავდა ვიღაც მეფე, რომ ამ მეფის მოხელეები სისხლს სწოვდნენ ღარიბებს, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად გასული ხალხი ისევ ულუკმაპუროდ რჩებოდა და შიმშილით იხოცებოდა. მე ისიც გავიგე, როგორ ებრძოდა ისიდორე ბიძია ამ უსამართლობას და როგორ მოუწოდებდა ხალხს საბრძოლველად მეფის წინააღმდეგ.

ამ დროს ისიდორე ბიძია აღარ ჰგავდა ჩემს კეთილ მეგობარს. შუბლშეკრული და მუშტმოღერებული ახლა უფრო წიგნში დახატულ ამირანს ჰგავდა, მრისხანესა და მიუკარებელს.

ვუსმენდი უფროსებს და გული ზიზღით მევსებოდა იმ ვიღაც მეფის წინააღმდეგ, რომელიც ასე აწამებდა ღარიბ-ღატაკებს, საპყრობილეში ამწყვდევდა მათ და სახრჩობელაზე აჭყავდა.

იმხანად ქალაქში რაღაც ამბავი ხდებოდა. „არეულობაა...“ — იძახდნენ ჩვენი მეზობლები ერთმანეთში. ხშირად კანტიკუნტი სროლა მოისმოდა, ზოგჯერ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ცხენოსნები ჩაიქროლებდნენ. მათ დანახვაზე ყველა ეზო ცარიელდებოდა და დედაჩემიც შინ შემიყვანდა ხოლმე. ქუჩები ადრე იცლებოდა და დარაბებსაც ადრე ხურავდნენ. ბიძია ისიდორე გვიან ბრუნდებოდა შინ. მე ყველაზე უფრო ის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონებდა, რომ მას ჩემთვის აღარ ეცალა.

ისიდორე ბიძიასთან ერთად ბაღში მუშაობა ძალიან მიყვარდა. აქ ჩვენ გულმოდგინედ ვრწყავდით ყვავილებს, ძირს ვუთოხნიდით ხეებს, ვსხლავდით ბუჩქებსა და მავთულზე დაგრეხილ თალარს. ამას ისიდორე ბიძია აკეთებდა, მაგრამ მეც ხომ ვეხმარებოდი ჩემი ტიტინითა და საქმიანი ფუსფუსით.

სწორედ ასე ვსაქმობდით ერთ უქმე დღეს. გაზაფხული იდგა. მზე დანათოდა ახალმორწყულ კოხტა ყვავილნარს. მე ღიმილით დავყურებდი ყვავილებთან მოფარფატე პეპლებს და ვარდის ბუჩქთან დახრილ ისიდორე ბიძიას, რომელიც მაკრატლით ხელში გამხმარ რტოებს აჭრიდა ბუჩქს.

— აი, ბიძიკო, ამ ბუჩქმა იცის წითელი ვარდები და შენ იცი, როგორ მოუვლი, არ დასჭრა და არ გააფუჭო! როცა შინ დამიგვიანდეს, უჩემოდ მორწყე, ნებას გაძლევ!—ღიმილით მითხრა მან და წელში გასწორდა.

სწორედ ამ დროს გაიჭრიალა ჭიშკარმა და ეზოში ვიღაც ორი უცნობი შემოვიდა.

— ჟანდარმები!—უცნაური ხმით შეჰკივირა აივანზე გადმომდგარმა ისიდორეს ცოლმა ნინო დეიდამ და ოთახში შევარდა. იმათ, ვისაც ნინო დეიდამ ჟანდარმები უწოდა, ისიდორე ბიძიას მიაშურეს, მხარში ამოუდგნენ, რაღაც ქაღალდი უჩვენეს და მათთან ერთად წასვლა უბრძანეს. ამ დროს ღობეებს მეზობლები მოადგნენ.

მე ვიგრძენი, რომ უცნობები იმ საზიზღარი მეფის მოხელეები იყვნენ, და ისიდორე ბიძიას გულში ტირილით ჩავეკარი. ჟანდარმებმა ძალით მომგლიჯეს საყვარელი ადამიანის მკერდს და გვერდზე მიმაგდეს.

— ნუ ტირი, ბიძიკო, წადი და ქუდი მომიტანე!—გამამხნევებელი ღიმილით მითხრა ისიდორემ.

ასე წამართვეს ისიდორე ბიძია ჟანდარმებმა.

მე დაღვრემილი დავდიოდი ეზოში, ვრწყავდი ყვავილნარს და განსაკუთრებით ისიდორე ბიძიას მიერ ჩაბარებულ წითელი ვარდის ბუჩქს ვუვლიდი.

ჩქარა აყვავილდა ბუჩქიც. ჯერ კოკრები გამოება ყლორტებს, მერე კოკრები გაიფურჩქნა და მთლიანად გადაწითლდა. განსაკუთრებით ერთი მათგანი იზიდავდა თვალს—ლამაზად გაშლილი და ლოყებმოცინარი. ნეტავ შემეძლოს, ეს ვარდი ისიდორე ბიძიას გავუგზავნო ციხეში.—ვფიქრობდი და თავს დავტრიალებდი ბუჩქს.

ერთხელ თვალცრემლიანმა ნინო დეიდამ მკითხა:

— გინდა ისიდორე ბიძიას ნახვა?

მე სიხარულისაგან ისე დავიბენი, რომ პასუხის მაგიერ ვარდის ბუჩქს მივაშურე. მოვწყვიტე ყვავილი, ვუჩვენე ნინო დეიდას და ესლა მოვახერხე:

— აი, ეს...

— კარგი, წავიღოთ!—ღიმილით მიპასუხა მან და აცრემლებული ოთახში შევიდა.

დილაუთენია გამომაღვიძა დედამ. თბილად ჩამაცვა და, ქაღალდში შეხვეული ვარდი რომ არ გასრესილიყო, პალტოს უბეში ფრთხილად ჩამიდო.

მე და ნინო დეიდამ ბორანს უხმოდ მივაშურეთ. ბურუსიანი დილა იდგა. ქარი ჰქროდა და წვიმას აპირებდა. მოდიდებული რიონი ღრიალით მოაქანებდა ვეებერთელა ზვირთებს და ნაფოტივით აქანავებდა ხალხით სავსე ბორანს.

— რად დაიჭირეს ისიდორე ბიძია?—შევეკითხე ნინო დეიდას.

— იმიტომ დაიჭირეს, რომ ახლა ყველა სიმართლისათვის აღსდგა. ისიდორე ბიძიასაც იმისათვის სჯიან, რომ მეფის გადმოგდება უნდოდა.

— მერე ვერსად დაიმალა?

— ყველგან ასეთი ამბავი ხდება, შვილო, სად უნდა დამალულიყო?!

ციხის კართან ტევა არ იყო. საპყრობილესთან შეგროვილი ხალხი ჩუმად ღელავდა. ისმოდა ჩურჩული, თავშეკავებული წყევლა-კრულვა და ტირილი.

ყარაულები ჯგუფ-ჯგუფად უშვებდნენ მნახველებს ციხეში. ბოლოს ჩვენი რიგიც მოვიდა. გაიღო ციხის კარი და

აჩოჩქოლებულმა ხალხმა უნებლიეთ შემიტანა ვიწრო დერეფანში. თითქმის სირბილით გადავჭერით ეს დერეფანი ყველამ და ერთბაშად მავთულის ბადით შუაზე გადატიხრულ ოთახში მოვხვდით.

წინ ხალხი კედელივით ჩამომეფარა. მთელი ოთახი ყაყანითა და ყვირილით აივსო. ნინო დეიდამ ხელში ამიტაცა და, როგორც იყო, ბადესთან მივიდა. პირველად მე ჩვენი ბადის მოპირდაპირე მეორე ბადე გავარჩიე, მერე კიდევ ბადეებს შორის ვიღაც უცნობი კაცი. ეს უცნობი ისიდორე ბიძიას დამჭერსა ჰგავდა. „ჟანდარმია!“—გავიფიქრე მე და მეტადურად მოსეირნე უცნობს თვალი ავარიდე.

მოპირდაპირე ბადეს რუხფარაჯიანი ტუსაღების ჯგუფი მოაწყდა. ხმაური უფრო გაძლიერდა. ყველა რაღაცას ყვიროდა, ვიღაცას ეძებდა, ვიღაცას ეძახდა. ტუსაღებში ისიდორე ბიძიას სახე შევნიშნე და შევყვირე. ისე შევყვირე, რომ ჟანდარმმა თვალები გადმომიბრიალა. მე უბიდან ქაღალდში შეხვეული ყვავილი ამოვიძრე და მავთულის ბადესა და ბოძს შუა დარჩენილ ხვრელში ოსტატურად შევაძვრინე.

— აი, ისიდორე ბიძია, წითელი ვარღი, შენი ვარდი!—ვყვიროდი მე და თან ქაღალდში შეხვეულ ამანათზე ვუთითებდი. ამანათი ბადეებშუა იატაკზე დაეცა, ჟანდარმის ფეხებთან. ქაღალდი გაიხსნა და ზეთით გაქონილ ჩექმებშუა წითელი ვარდი აელვარდა. წუთით ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე სიჩუმე ტუსაღების ტაშმა შეარხია და ოთახში მუშების საყვარელი სიმღერის ხმა გაისმა.

გაცეცხლებულმა ჟანდარმმა თითი დამიქნია, ზიზღით დახედა ყვავილს, მძიმედ დაადგა ჩექმა და იატაკზე გასრისა.

მალე 1905 წლის რევოლუციის მონაწილენი ციმბირს გაგზავნეს. მას შემდეგ ისიდორე ბიძია აღარ მინახავს, მაგრამ ისიდორე ბიძია და გასრესილი ყვავილი არ დამვიწყებია. ამას წინათ დეიდა ნინომ წითელი ვარდების დიდი თაიგული გამომიგზავნა. მწერდა: კარგად ხარობს ისიდორე ბიძიას დარგული ყვავილის ბუჩქიო.



ძმების საჩუქარი

ი. ურჯუმელაშვილი

სახატები ზ. ლეჟავასი

გოგია და სოსო ძმები არიან. ისინი მშობლებთან ჭკვიანად იქცევიან, მაგრამ დედ-მამას სადმე გაიგულებენ თუ არა, მთელ სახლს იკლებენ.

ერთხელ შინ არავინ იყო. ძმებმა იატაკზე ახლად შეკერილი ლეიბი გაშალეს და ზედ კოტრიალი დაიწყეს.

უცბად კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. ბავშვებმა ყურები ცქვიტეს.

— მამაა! – ჩაილაპარაკა გოგიამ.

ბავშვები მამას შემოეხვივნენ.

— რა მოგვიტანე, მამიკო?

— გეტყვით,—მიუგო მამამ, – მხოლოდ პირობა უნდა მომცეთ, რომ ამის შესახებ თქვენს მეტს არავის ეცოდინება.

— არავის ვეტყვით, მამიკო!—თქვა გოგიამ.

— არც დედას ვეტყვით!—პირობა მისცა სოსომაც.

— კვირას დედათქვენის დაბადების დღეა. აი, თახჩაში დედის სადღესასწაულო საჩუქარი შევინახე.

— მეც მინდა გავუმზადო დედას საჩუქარი.— თქვა გოგიამ.

— მეც ჩემ ცხენს მივცემ!—წაილაპარაკა სოსომ.

— სოსო, გინდა დედას საჩუქარი ერთად გაუმზადოთ?—ჩუმად შეეკითხა გოგია პატარა ძმას.

— მე ჩემი ცხენი უნდა ვაჩუქო დედას.

— არა, ცხენი საჩუქრად არ ივარგებს. იცი რას გეტყვი, მოდი, ლექსს გასწავლი და დაბადების დღეს დედას წაუკითხე, გინდა?

— არა, არ მინდა!

— რატომ?

— იმიტომ რომ ვერ ვისწავლი.

— თუ მოინდომებ, ისწავლი. მეც შენი ტოლი ვიყავი, როცა ეს ლექსი ვისწავლე.

ამის შემდეგ ძმები ხშირად მალულად კუნჭულში მისხდებოდნენ, სოსო ყურადღებით უსმენდა ძმას და ჩურჩულით იმეორებდა მის ნათქვამს. მალე მან ზეპირად იცოდა ლექსი, მაგრამ ზოგიერთი ადგილი მაინც ავიწყდებოდა.

ერთ დღეს ბავშვები სახურავზე აცოცდნენ, რადგან უკეთესი ადგილი ლექსის ხმამაღლა სათქმელად ვერ გამონახეს. ბევრჯერ ათქმევინა გოგიამ პატარა ძმას ლექსი, მაგრამ მაინც კმაყოფილი არ იყო. სოსო ლექსს ხმადაბლა ამბობდა.

კვირას პაპაც ჩამოვიდა სოფლიდან და ჩამიჩი, ჩურჩხელები, კაკალი და ბადაგი ჩამოიტანა.

სხვა დროს სოსო კალათას ეცემოდა და ამოაქოთებდა, ახლა კი კუნჭულში შიმჯდარიყო და რაღაცას ჩურჩულებდა.

გოგია ძმის გარშემო ტრიალებდა.

უფროსები სუფრას მიუსხდნენ. პაპამ დედას დღეგრძელობა უსურვა, მამამ ლამაზყდიანი წიგნი გაუწოდა და მიულოცა.

— დედი, დედიკო.— თქვა გოგიამ,— მე და სოსომაც გაგიმზადეთ საჩუქარი. მე ლექსი ვასწავლე, ახლა სოსო ამ ლექსს გეტყვის.

სოსომ დიდი კაცივით ჩაახველა, თითქოს ხმა უნდა ჩაწმინდოსო.

— „დილა“! ლექსი ძია სტალინისა!— თქვა მან, ყველას სათითაოდ შეხედა და ხმამაღლა დაიწყო:

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა...
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა“.

სოსომ ლექსის კითხვა დაამთავრა და სიხარულით აცრემლებულ დედას გულში ჩაეკრა.

— ყოჩაღ, ჩემო ვაჟკაცებო! — ამბობდა მამა.

— ბარაქალა, ბიჭო, ბარაქალა!— თავმომწონედ გაიძახოდა პაპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რვეული

ერთხელ თამარ მასწავლებელმა თქვა:

— ბავშვებო! უკვე ერთ თვეზე მეტია სწავლობთ. ახლა დროა ნიშნებიც დაგიწეროთ.

მაგრამ იცით, რა არასასიამოვნო ამბავი მოხდა: გივის რვეულში სამიანებმა და ორიანებმა ამოჰყო თავი. სხვა ბიჭებს კი ოთხიანები და ხუთიანებიც ჰქონდათ.

დღეს თამარ მასწავლებელმა კლასში რვეულების დასტა შემოიტანა და თქვა:

— ბავშვებო, თქვენ უკვე დაასრულეთ პირველი რვეულები. მე ამ რვეულებს მხოლოდ ერთი დღით გაგატანთ, რომ მშობლებს აჩვენოთ. შემდეგ კი აუცილებლად დააბრუნეთ. ერთად შეკრავ და ჩემთან შევინახავ.

ძლიერ საინტერესოა რვეულების დარიგება. შიგ რამდენი რამაა წითელი მელნით ჩაწერილი. გივი თავის ნაწერს წითელი მელნით დაწერილს ადარებს და ხედავს, რომ მასწავლებლის ხელი გაცილებით ლამაზია. ამიტომაც გული წყდება, როდესაც თამარ მასწავლებელი რვეულში კარგ ნიშანს არ ჩაუწერს ხოლმე.

გივი ჩაფიქრდა.

რამდენი რვეული ექნება თამარ მასწავლებელს! ალბათ, ყოველწლიურად ემატება და ემატება. უჰ, რამდენი დაუგროვდება, როდესაც თამარ მასწავლებელი მოხუცდება. ნეტავი თვითონ სადღა იცხოვრებს მაშინ? რვეულებისათვის, ალბათ, ცალკე ოთახს მისცემენ. ნეტავ რით ექნება რვეულები შეკრული?

გივიმ ხელი ასწია.

— პატივცემულო მასწავლებელო! რით შეკრავთ რვეულებს: კანაფით თუ ლენტით?

მასწავლებელმა გაიღიმა:

— თუ ყველა რვეული კარგი იქნება, მაშინ წითელი ლენტით შევკრავ.

გივის ახლა ნათლად წარმოუდგა ცისფერი, ვარდისფერი, თეთრი ლენტებით შეკრული რვეულები; მხოლოდ ერთ დასტას კი წითელი ფართო ლენტი აკ-

რავს და ხელ აწერია: „პირველი „ბ“ კლასი“. ეს მათი რვეულებია.

შინ მისვლისთანავე გივიმ აიღო სუფთა რვეული, ახალი კალმისტარი და გადაწერა დაიწყო.

კარგა ხნის შემდეგ გივის და ლიაც დაპრუნდა სკოლიდან.

— მოდი ისადილე! — უთხრა ლიამ.

მაგრამ გივიმ წერას თავი არ დაანება. მონდომებით გამოჰყავდა ასოები, წამდაუწუმ სცვლიდა კალმისწვერს, რადგან ეშინოდა არ დასვროდა. ნახევარი რვეული უკვე გადაწერილია! გივის თითები, ხელები, მხრები და ზურგი სტკიოდა.

ლია გაკვეთილებს რომ მორჩა, ჰკითხა:

— გივი, რა დავალება მოგცეს ისეთი, რომ ვერ მოერიე?

— ხელს ნუ მიშლი!

— გივი! პატიოსან პიონერულ სიტყვას გაძლევ, წავალ და დედას დავუოკავ, გეყოფა წერა.

— ორი გვერდიღა დამრჩა და შემდეგ თავისუფალი ვიქნები. — შეეხვეწა გივი.

ბოლოს, რვეული მთლიანად გადაწერა.

— შემიმოწმე! — სთხოვა გივიმ ლიას, — მე კი რუკაზე თხელ ფიცრებს დაგიკრავ.

მერე მეზობლებისაგან წითელი მელანი ითხოვა. დიდის ამბით მოიტანა და ყველგან, სადაც უწერ ეწერა: „ჰუჰყიანია 3“, „ისევ დასვრილია — 3“, მონდომებით გამოიყვანა: „სუფთაა — 5“, „დასვრილი არ არის — 5“. ახლა ყველაფერი წესრიგშია.

გივი დედას კარებში მიეგება და ახალი რვეული ამაყად გაუწოდა.

— ძველ რვეულს შეხედე, რას ჰგავს! — უჩვენა ისიც და შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად დახია. დედამ ვერც კი მოასწრო გივის შეჩერება.

— ხვალ რაღას მიიტან სკოლაში? — აღშფოთებით ჰკითხა დედამ.

— რას? — გულწრფელად გაიკვირვა გივიმ, — აი, ამას, კარგ რვეულს!

მეორე დღეს მასწავლებელს ყველამ რიგის მიხედვით გადაწოდა რვეული.

— ყველამ ჩამაბარა? — იკითხა თამარ მასწავლებელმა.



— აი, პატივცემულო მასწავლებელო, ჩემი რვეული. — წამოდგა გივი.

— ყოჩაღ, ყდა რომ გადაგიკრავს! ძველი დახეული იყო.

— ახლა სულ თავიდან ბოლომდე კარგია! — მიუგო კმაყოფილმა გივიმ.

თამარ მასწავლებელმა რვეული სწრაფად გადაფურცლა.

— შენი ძველი რვეული სადღაა?

— ავიღე და დავხიე. ვაჩვენე დედას და დავხიე.

სიჩუმე ჩამოვარდა. გივი ვეღარ ისვენებს, უნდა უთხრას, რომ ძველი რვეული დასანანებლად არა ღირს — ის მთლად ცუდი იყო. მაგრამ თამარ მასწავლებელმა ეს ხომ გივის გარეშეც იცოდა და მაინც უბრძანა აუცილებლად დაებრუნებინა.

ეჰ, ეს რატომ აღარ მოაგონდა გივის!

— მე მინდოდა, რომ ჩვენი რვეულები წითელი ლენტით შეგეკრათ! — წაიჩურჩულა გივიმ.

რამდენიმე წამის შემდეგ თამარ მასწავლებელმა თქვა:

— კალმები და ფანქრები დააწყვეთ, წიგნები დახურეთ. დღეს პირველ რვეულებზე მინდა გესაუბროთ.

— მე ამ პირველ რვეულებში თვალყურს ვადევნებდი, თუ როგორ სწავლობდით ჯერ ასოების და შემდეგ კი სიტყვების გამოყვანას. თქვენი პირველი რვეულები ხომ მთელი მოთხრობაა იმის შესახებ, თუ როგორ ისწავლეთ წერაკითხვა. გასაგებია თქვენთვის?

ბავშვებმა უხმოდ დაუქნიეს თავი.

— აი, გივის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვი: მან თვითონვე მოსპო პირველი რვეული.

— მაგრამ, — ჩუმად ჩაილაპარაკა თამარ მასწავლებელმა, — გივიმ იშრომა, ახალი რვეული გადაწერა, და მე მგონია, თუ იგი ასე განაგრძობს, რასაკვირველია, წერას ისწავლის და ჩვენც ამ რვეულს მის პირველ რვეულად ჩავთვლით.

თარგმნა **თ. მთვარელიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ხავთასი

ნაძვის ხესთან

თოვლის ჰაჰა ვერ ვიპოვნეთ,
ბაბუ, საით იპარები,
მოდი, დადექ ნაძვის
ხესთან—
გაგვახარე ჰატარები.

ნახატები რ. ცუცქირიძისა

ზ. შერაზადიშვილი

*
* *

ამირანს და თედოს
ბურთი დაქვთ უბით,
დაიწუებენ თამაშს,
ამთავრებენ ჩხუბით.

ზ უ რ ა

ბ. კალანდაძე

ჩვენს ჰატარა ზურას
ნაბდის ქუდი ხურავს.

უყვარს ბურთი, ლახტი,
მდერის, დარბის, დახტის.

უყვარს ჯოხის ცხენი,
ჯირითობა შვენის.

ზოგჯერ ჩვენი ზურა
ხელს დასტაცებს სურას

და წუაროსკენ გარბის
მერცხალივით მარდი.

წყალს მოუტანს ჰაჰას,
ჰაჰა ეტუფის ზღაპარს.

ქ. ჭილაშვილი ნახატები გ. როინიშვილისა

უმცროსი და

ელისომ თავისი უფროსი და სკოლაში გაიგულა თუ არა, დრო იხელთა და იმის სამეცადინო მაგიდას მიუჯდა.

ელისოს ძლიერ უყვარდა ეს პატარა, მუდამ სუფთად მილაგებული მაგიდა. რა ექნა? მხოლოდ ამ მაგიდაზე ემარჯვებოდა ხატვა. ნუნუმ კი შორიახლოს გავლაც აუკრძალა და გაფრთხილა: შენს სათამაშო კუთხეში გაერთეო.

ეშმაკი გოგონა იყო ელისო. მაშინ მიუჯდებოდა ხოლმე იმის მაგიდას, როცა ნუნუ შინ არ ეგულებოდა.

ახლაც ელისომ ის იყო რვეული გადაშალა და ფანქარი მოიმარჯვა დასახატად, რომ უეცრად მაგიდის ცალ მხარეს ქაღალდში შეხვეული რაღაც შენიშნა.

— ნეტავ რა არის?—გოგონამ ხელში აიღო გახვეული და ფრთხილად გახსნა. —უი, ნუნუს საუზმე დარჩენია!—შეწუხდა ელისო და ღია ფანჯრიდან თვალი შეავლო სოფლის შუაგულში მდგარ სკოლის შენობას.

— უნდა წავუღო საუზმე, თორემ მოშივდება, ცოდო! — გადასწყვიტა ელისომ, ფეხზე წამოდგა და კუთხეში მიმჯდარ დათუნიას ამბავი დაუტოვა: „ნუნუს საუზმეს მივურბენინებ, თუ დედამ მიკითხოს, ახლავე მოვა-თქო“.

ელისომ დათუნიას თანხმობის ნიშნად თავი თვითონვე დააქნევინა და სირბილით გასწია.

აი, სკოლაც. ელისო ფართო კიბეებს აუყვა და დერეფანში შეჩერდა. ამოდენა შენობაში ნუნუ სად ეპოვნა?

გოგონამ ფეხაკრეფით განაგრძო გზა. ყველა კლასში შეიჭვრიტა ცალი თვალით და იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ერთ-ერთ საკლასო ოთახში თავის დას შეასწრო თვალი.

ელისო შუა კარებში გაჩერდა და დას ღიმილით დაუწყო ყურება.

ნუნუ გოცდა. ელისომ ნაბიჯი წინ გადადგა და ნუნუს საუზმე დაანახვა. ნუნუმ დას შეუბღვირა და ხელით ანიშნა, კარს ჩამოშორდიო.

კლასში მოსწავლეები შეჩოჩქოლდნენ. ელისომ კი ნუნუს მერხთან მიირბინა და საუზმე წინ დაუდო. იმის ბედზე ზარიც აწკრიალდა. როცა მასწავლებელი კლასიდან გავიდა, აჟრიამულებული ბავშვები დებს შემოეხვივნენ.

— ვინ გთხოვა, საუზმე მომიტანეო? აბა, ვინა გთხოვა? მე სულაც არა მშია. ახლავე წაიღე უკან! —ჯავრობდა ნუნუ.

ელისომ საუზმე მერხზე დაუტოვა და გულდაწყვეტილი უკან გაბრუნდა.

შარაზე გამოსულმა ელისომ ხემოთ აიხედა და ფანჯარაზე ჩამოსკუპებული ნუნუ დაინახა. მას საუზმე ეჭირა და მადიანად ილუკმებოდა.

— აკი არა მშიანო? აკი არ შევჭამო? — ასძახა ელისომ და გახარებულმა შინისაკენ მოჰკურცხლა.

მარიჯანი

ნახატები გ. თოთიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანოს კვირეული

— ორშაბათი სულ არ მიყვარს,
მოდი, კლასში დღეს არ წავალ!—
ვანომ უცბად მოიგონა,
ვითომც გახდა ძლიერ ავად.

სამშაბათი რომ გათენდა,
ვანო ისე გაჰკიოდა,
რომ დედ-მამა დააჯერა,
თითქოს ყური ასტკივნოდა.

ოთხშაბათს თქვა: მართალია,
ყური ისე აღარ მტკივა —
გაკვეთილი რომ არ ვიცი,
მე სკოლაში როგორ მივალ!

ხუთშაბათ დღეს საღამომდე
ასკინკილა დადიოდა,
ახლა ბებო დაარწმუნა,
ფეხის კოჭი რომ სტკიოდა.

პარასკევს კბილს უჩიოდა,—
გაუჩინა მშობლებს დარდი,

არავინ არ მიიკარა,
აიხვია ხილაბანდით.

შაბათს ხელი აიტკივა,
არც იკითხა და არც სწერა:
ბებოს ეჭვი შეეპარა,
უთხრა: „შენი არა მჯერა“.

კვირა დილით ადრიანად
წამოიჭრა ფეხზე ვანო,
მშობლებს სთხოვა: „რა იქნება,
ცირკში მეც რომ წამიყვანოთ!“

ილია სიხარულიძე

დობილები

რა კარგი დობილებია
ბაია, ირმა, მანანა!
სულ მთლად პაწია ბაიას
მანანამ პირი დაბანა.

ირმა თავს ვარცხნის გოგონას,
კოპწიას თავზე ევლება,
კოხტა წითელი ბანტები
თმაზე დაასვა პეპლებად.

ბაია სარკეს უყურებს,
ღიმილმა ვარდი მოჰფინა,
თავის თავზე თქვა: „ბაია
რა კარგი გოგო ყოფილა!“

ნინო ნაკაშიძე

ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაჭის კუდი

ბებია ეკატერინე აივანზე იჯდა. მეხობლის პატარა ბიჭუნა ვასიკომ დაინახა ბებო და მასთან მიირბინა. ბებოს გაეხარდა ვასიკოს მოსვლა და უთხრა:

— დაჯექი, ვასიკო, თუ ნახატების ნახვა გინდა, გაჩვენებ.

მაგრამ ვასიკომ შეამჩნია, რომ ბებოს ფეხებთან დიდი ჭრელი კატა იწვა, ლამაზი კუდი იატაკზე გაეშალა და ხანდახან ნელა, ნებივრად აქნევდა ხოლმე. უცბად ვასიკო კატის კუდს ჩაფრინდა. კატა ჩხაოდა და თავის დაღწევას ცდილობდა.

— ბებო, კატის კუდი მინდა წავიღო. — თქვა ვასიკომ.

— მერე ხომ ხედავ, კატა რომ არ გაძლევს კუდს?

— შენ ხომ ყველაფერს გიგონებს, ბებო, უთხარი კატას, მომცეს კუდი.

— აბა, კუდი რომ მოგცეს, უკუდო კატა ვის გაუგონია? ან კატას როგორ გავაგონო, მაგის ენა რომ არ ვიცი!

ვასიკომ უფრო ღონივრად გამოსწია კატის კუდი და თქვა:

— მომეცი, კატუნი, კუდი, ვითამაშებ და ჩქარა მოგიტან.

კატა წამოიჯრა, ვასიკოს ხელიდან კუდი გამოგლიჯა, აივნის მოაჯირს შეახტა, იქიდან ხეზე გადახტა და უკმაყოფილოდ ჩამოჰყურებდა ვასიკოს.

— აი, ვასიკო, — უთხრა ბებომ, — კატამ რომ ლაპარაკი იცოდეს, ახლა გეტყოდა, რომ კუდს ვერავის ვათხოვებ და ჰკვიანმა ბიჭმა არც უნდა მთხოვოსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ხახუბაშვილი

ნახატი ქ. მახარაძისა

ლიზიკო და პაპა

ლიზიკოს პაპა ძლიერ უყვარს. პაპა სამსახურიდან რომ მოდის, ლიზიკო სიხარულით კარებს უღებს, ქუდს ჩამოართმევს და მერე კისერზე ჩამოეკიდება. დილაადრიან თვალებს გააჭყეტს თუ არა, იმწამსვე პაპასთან გარბის, რადგან პაპამ ისეთი კარგი ზღაპრები იცის, ისეთი, რომ ლიზიკო ხან სიხარულით ცაში ფრინავს, ხან კი გველეშაპის მოსაგერიებლად მუშტებს კუმშავს და პაპას ჩუმად ეკითხება:

— პაპა, შუბიანი კაცი მალე მოვა?

ჩქარა მოსჭრას თავი მაგ საზიზღარ გველეშაპს!

ერთ დილას ლიზიკო დიდედამ გააფრთხილა: პაპასთან ნულარ მიხვალ, მთელი ღამე არ სძინებია, ახლახან ჩაეძინაო. ლიზიკომ ჯერ თავი შეიკავა, მაგრამ როცა დერეფანში ზარი დაირეკა, გოგონა სწრაფად წამოხტა, პაპასთან მიიჭრა და მოუთმენლად ჩასძახა:

— პაპა, ზარმა არ გაგაღვიძოს, ეს მერძევე რეკავს, შენ კი თვალები მაგრად დახუჭე და დაიძინე!

დ. ძეკამიძე

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

ბაჭიები

(ამოცანა)

დედა კურდღელი ჩიოდა:
მელამ მომტაცა ბაჭია,
მერე რომელი? — ყველაზე
თამამი ამოარჩია!

ვისაც მახვილი ჭკუა აქვს
და თავი ბრძენი ჰგონია,
აბა, ამოხსნას: იმ კურდღელს
რამდენი შვილი ჰყოლია?!

ორი გადარჩა ბუჩქებში,
ორიც სოროში დავმალე;
სულ ცახცახებენ საწყლები,
იცრემლებიან მალ-მალე.

საქ. სახელმწ. ... საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვირვებული ბიჭი

უზბეკური ზღაპარი

ერთი კაცი თავის ძმას ესტუმრა. ვირი ეზოში ხეზე მიაბა და თვითონ კი სახლში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვირმა თოკი გაწყვიტა და გაიქცა.

ძმები ვირის საძებნელად წავიდნენ. გზაზე ერთი ბიჭი შემოეყარათ.

— ბიჭიკო, ვირი ხომ არ გინახავს?— შეეკითხნენ მას.

— ვირი? რომელი? ის ხომ არა, მარცხენა თვალით ბრმა რომ არის, ერთი ფეხით რომ კოჭლობს, ზედ ძველი მწვანე ფერის ხურჯინი ჰკიდია და შიგ ხორბალი ჰყრია?

— აი, სწორედ ისა!

— არ მინახავს!

— როგორ თუ არ გინახავს?!—გაბრაზდნენ ძმები და ბიჭი მოსამართლესთან მიიყვანეს.

— დიდხანს სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს მოსამართლეს,—თქვა ბიჭმა,—მე მხოლოდ ვირის ნაკვალევი ვნახე. დავაკვირდი და შევამჩნიე, რომ უკანა მარჯვენა ფეხის ნაკვალევი იმდენად ღრმა არ იყო, როგორც სხვა დანარჩენებისა. ნაბიჯიც მოკლე ჰქონდა, მაშასადამე, ვირი იმ ფეხით კოჭლობს. გზაში მხოლოდ მარჯვენა მხარეს უძოვნია ბალახი, მაშასადამე, მარცხენა თვალით ბრმაც არის. ერთ ადგილას ვირი გაჩერებულა, ხეზე ფერდი წაუხეხია და ზედ ხურჯინის მწვანე ბაწრები დარჩენილა. დაფანტული ხორბლის მარცვლებიც ვნახე და დავრწმუნდი, რომ ხურჯინი ძველი ყოფილა.

მოსამართლემ პასუხი მოისმინა, ბიჭი უდანაშაულოდ სცნო და გაათავისუფლა.

თარგმანი ლ. ასტვაცატუროვისა

შ. ამირანაშვილი

გამოცანები

დედებს ხუთ-ხუთი შვილი ჰყავთ,
ყველა ვართ მათი მნახველი,
სიდიდით განსხვავდებიან,
მაგრამ ერთი აქვთ სახელი.

ზეცამ ქუქუნა წვიმა აკურა —
თავი არა აქვს, ქუდი კი ხურავს;
ბინადარია ტყისა და ველის,
ერთი ფეხი აქვს, ისიც შიშველი.

იგი ჰაერში მოფრენს,
დაბლა მიწაზე ჯდება,
თუ დაიჭირე ხელში,
მაშინვე გაგიქრება.

ერთ გამოცანას
გეტყვით პატარებს:
სადაც კი დადის,
სახლს თან ატარებს.

მუსიკა ქეთო ანღრონიკაშვილისა

ტექსტი თ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო



ნახატი ბ. როინიშვილისა

შენ, ლამაზო,
შენ, ტანადო,
კოხტა ნაძვის ხეო!
ათასფერად
გაგვინათე
ახალი წლის დღეო.
სიმღერებით
გესალმებით,

ყური დაგვიგდეო!
იციმციმე,
იკისკისე,
დივლი-დალალეო!
საჩუქრები
დაგვირიგე,
პირი ჩაგვიტკბეო,
თოვლის პაპა,

თეთრი პაპა
თან მოიყვანეო!
მოგვილოცე
საყვარელი
ახალი წლის დღეო,
შენ, ლამაზო,
შენ, ტანადო,
კოხტა ნაძვის ხეო!

საჯარო ბიბლიოთეკა

6·182/5

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ქარგვისათვის

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ი. ვახაშვილს

რედაქტორი ოთხვე ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. ახვლედიანი, ეკ. ბურჯალაძე, ი. გრიგოლაშვილი, ქ. გოგოლაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სახარულიძე, ნ. ონაფკოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამერვე წელი ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 12, декабрь 1955 г. Тбилиси. Ленина 14.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. ს ს ნომ. ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 558 სტამბის შეკვ. № 1329|1326 ტირაჟი 15 000. უე 07486 ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XI 55 წ. ტექსტი ანყობილია ოროიერაციულ ბინაზე „კომუნისტის“ სტამბაში. ქერნალი დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში. მარჯანიშვილის 5.